

პრესრელიზი

თურქული კომპანია საქართველოში სტრატეგიული პროექტის განხორციელებით არის დაინტერესებული



2019 წლის 26 აგვისტოს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციას“ და თურქულ კომპანია “AGE Group”-ს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა.

მხარეთა შეთანხმების მიზანს ერთობლივი პროექტის განხორციელება წარმოადგენს, რაც თურქეთში, დენიზლის რეგიონში მდებარე 205 მგვტ. სიმძლავრის კომბინირებული ციკლის

თბელექტროსადგურის საქართველოში, (გარდაბანში) რელოკაციას ითვალისწინებს. მაღალი ეფექტურობის 205 მგვტ. სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბო ელექტროსადგური საშუალებას მისცემს ქართულ მხარეს უზრუნველყოს ელექტროენერჯის წარმოება დაბალი თვითღირებულებით, რაც შესაბამისად ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას. ურთიერთგაგების მემორანდუმს ხელი კომპანიების გენერალურმა დირექტორებმა, სირივურალ ბულუნიმ და ოლექსი ვილხოვოიმ მოაწერეს.



პრესრელიზი



ცენტრალურ ოფისში გამართულ შეხვედრას “AGE Group”-ს დამფუძნებელი, გენერალური და ფინანსური დირექტორები ესწრებოდნენ.

თურქული სააქციო საზოგადოება “AGE Group” ქვეყნის ტერიტორიაზე რამდენიმე სექტორში ოპერირებს, კომპანიის საქმიანობის ინტერესია: სამშენებლო, ენერჯო, უძრავი ქონება და ელექტროენერჯის

საბითუმო ვაჭრობა.

ცენტრალურ ოფისში გამართულ შეხვედრას “AGE Group”-ის იურიდიული და ფინანსური დირექტორიც ესწრებოდა. ქართულ მხარეს „ჯი-აი-ჯის“ დამფუძნებელი დავით ბეჟუაშვილი, კომპანიის გენერალური დირექტორი ლაშა მიქავა და ფინანსური დირექტორი ზურაბ გელენიძე წარმოადგენდა.

კორპორაცია” (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. ამჟამად ჯი-აი-ჯი კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული მოიცავს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

